მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 16 1883—1897 30 აგვისტო

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თთვით . . .	3 მან.	12 თთვით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкеми“ и „Пастырь“.*

ძველი სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

მღვდლის ლუკა ტუემალაძის მოკვლა ყაჩაღთაგან.

ჩვენ მკითხველებს ვაცნობეთ ტანჯვით სიკვდილი მღვდლის ლუკა ტუემალაძისა ავაზაკებისაგან 8 ამა აგვისტოს. დღეს ხელთ გვაქვს საჭირო ბიოგრაფიული ცნობები განსვენებულისა და დაწვრილებითი ცნობა, თუ როგორ მოჰკლეს იგი ავაზაკებმა, და საჭიროთ მიგვაჩნია ეს ცნობები ვაუწყოთ საზოგადოებას. მღვდელი ლუკა ტუემალაძე იყო მღვდლის შვილი. მან შეასრულა სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა. სიღარიბის მიზეზით განსვენებულმა სემინარიაში შესვლა ვერ შესძლო და ოჯახობას მიჰყო ხელი და თან საღმრთოწერილს სწავლობდა. განსვენებული ბუნებით ნიჭიერი ყმაწვილი იყო. 1881 წ. იგი ეკურთხა მთავარ-დიაკვნად და მსახუ-

რებდა ჭილოვანის ეკკლესიაში. 1889 წელში იგი აკურთხეს მღვდლად ს. ჩონთოს წ. გიორგის ეკკლესიაზე. ეს მრევლი ერთი მცირე და ეოვლად ღარიბ მრევლთაგანია მთელს შორაპნის მაზრაში და ძნელად თუ ვინმე მიდიოდა მღვდლათ ს. ჩონთოში. სიღარიბეს გარდა ამ მრევლში ეოველთვის საშიშო იეო ცხოვრება, რადგან ეს სოფელი შორაპნის მაზრის განაპირად არის მიგდებული და მის გარეშე ეოველთვის ბუდობდენ ავაზაკები და გავარდნილი ეაჩაღები. განსვენებული ლ. ტუემალაძე დარწმუნებული იეო, რომ მის ერთგულ სამსახურს დააფასებდა მისი მახლობელი მთავრობა და ამისათვის არაფერს არ უშიშოდა. რვა წელიწადი, რაც ლ. ტუემალაძე ერთგულად მსახურებდა თავის სამწესოს. მან კარგად იცოდა თავისი მრევლის გაჭირვებული მდგომარეობა და ამისათვის იგი უმეტესად თავისი მუშაობით არჩენდა ოჯახს. ის სამრევლოში იეო მოძღვარიც, მრჩეველიც და ექიმიც. ამ შორეულ სოფელში ექიმს არ გაუვლია არც ერთ სახადი ავადმეოფობის დროს. მთელი სოფელი ავადმეოფობის დროს საშველს თავის მოძღვრისაგან იღებდა. მღვდელ ლუკა ტუემალაძესთან საქიმოდ არა მარტო მისი მრევლი მიდიოდა, არამედ თითქმის მთელი ზემო იმერეთი და ქართლიდანაც ბევრი მოდიოდენ მასთან და ეველანი დიდათ ემადრიელებოდენ; არა ერთხელ მოუწერია განსვენებულს ჩვენთვის მადლობის წერილი ჩვენი კარაბადინის გამოცემისათვის, რომლის წეალობით ასე კარგად ექიმობდა ავათმეოფთა. დაუღალავი შრომით და მეცადინეობით, გამჭრიახე და ეკონომიური ცხოვრებით განსვენებული ჩინებულად მოეწეო: სადგომიც გაიკეთა, ცოტა საწისქვილო ადგილიც შეიძინა და მშვენივრად მოაწეო ოთხი თვალი წისქვილი. შვილს ზრდიდა სემინარიაში და საზოგადოდ სხვა ზოგიერთ ზარმაც მოძმეთა შორის რიგიანად ცხოვრებდა. ამ მცირე შემენამ განსვენებულს მდიდარი მღვდლის სახელი მოუპოვა. საქიმოთ რომ ბევრნი დადიოდენ, აქედანაც ფიქრობდენ ავაზაკები, რომ მას ბევრი ფული ექნებაო. აღარ მისცეს საცოდავს განსვენება. ერთი წლის წინათ მოუვიდა წერილი, რომლითაც ფულებს თხოვდენ და ემუქრებოდენ მოკვლას, თუ ფულებს არ გამოგვიგზავნი და ან ეს ამბავი თუ პოლიციას განუცხადეო. რა ექნა საწეალს, მაშინვე მიაშურა მამასახლისს და ადგილობით პოლიციის ბოქაულს. მოუვიდა კიდევ სამი თვის შემდეგ წერილი. რადგან წინანდელი განცხადებიდან არა გამოვიდარა, ესლა განუცხადა გუბერნატორს და წერილიც წარუდგინა. მღვდელს გამოუცხადეს, რომ გაფრთხილებოდა თავის თავს. რას იზამდა მეტს საცოდავი? რაც შეეძლო გაფრთხილებული იეო. საღამოზე ადრე ჩაიკეტებოდა და თავის ფულით ნაქირავები კაცები ეარაულობდენ ღამით. მეტი რა ღონე ესმარა, არ იცოდა საცოდავმა. წერილები ხშირად მოდიოდა ეაჩაღებისაგან და სიკვდილს ემუქრებოდენ, თუ ფულს არ გაუგზავნიდა მათ. საცოდავს ფული არ ჰქონდა, თორემ თავის მოკვლას ფულის მიცემას ამჯობინებდა. ასე უბედურ შიშში გადიოდა დრო.

შვიდს აგვისტოს მღვდელს ლუკა ტყემალამესთან მოვიდნენ ორნი უცხო კაცნი და განაცხადეს, ავადმყოფი გვყავს, მამაშვილობას, წამალი მოგვეცითო. დაარწმუნეს მღვდელი, რომ მათ ჰყავსთ ციებით ავადმყოფი. მღვდელმა გაუკეთა წამალი, მათ მისცეს სასყიდელი. რადგან მღვდელი ხედავდა, შორე ადგილიდგან იყვნენ მოსული, უთხრა, საჭმელი მიეცათ მათთვის, ამ კაცებმა დაწვლილებით დაათვალიერეს სახლი, გამოიკითხეს საიდუმლოთ, თუ სად იქნებოდა მღვდელი, ანუ მისი ოჯახობა და მუშები მეორე დღეს. როდესაც ჰკითხეს, რათ ჰკითხულობთ ამასაო, იმათ უთხრეს, რომ ავადმყოფი მძიმეთ არისო, და რომ მოვიდეთ ხვალ, უნდა ვიცოდეთ, მღვდელი შინ დაგვიხვდება, თუ არაო. ადგენ და წავიდენ, როგორც გამოჩნდა, ესენი იყვნენ მზვერავები, ყაჩაღებისაგან გამოგზავნილი.

რვა აგვისტოს მ. ლუკა ადგა დილით ადრე, მადლობა შესწირა ღმერთს, რომ მშვიდობით გაუთენდა. დაალვიძა მუშები და გაგზავნა სამუშევრათ. თვითონ რვა საათზე შინ შევიდა და წაღებს იცვამდა. ერთი წაღა რომ ჩაიცვა, ცოლი უცბათ შემოვარდა გარედამ და დაუძახა ქმარს: ვიღაცა საეჭვო კაცები შემოვიდნენ ეზოშიო. ერთი ყაჩაღი ამ ქალს შემოყვა სახლში, სამი კი გარეთ დარჩა ყარაულად. კაცმა დაუყვირა მღვდელს, ფულები მოიტაო, თორემ ეს არის თავს წაგაგდებინებ. მღვდელი ადგა და ცოტა შეჩერდა. რაღაცასთვის კედლისკენ მიბრუნდა, ავაზაკმა იფიქრა, წინააღმდეგობას მიპირებსო, აიღო ხანჯალი და ბარძაყში ჰკრა, ასე რომ ხანჯალი იქით მხარეს გავიდა და გასჭრა დიდი მარღვი არტერიისა. მღვდელი წაიქცა და დაუძახა: „შე ურჯულო, რაზე მკლავ, წაიღე, რაც რამე არის. მოითხოვა ზანდუკის გასაღებები, დახსნეს ყველაფერი, მაგრამ ფულები არ იყო. ეხლა ყაჩაღი მივარდა ცოლის და ხანჯალ ამოღებული შვილების თავის მოჭრას ემუქრება, თუ ფულებს არ მისცემს, მოუქნევს ხანჯალს ბავშვს, დედა ხელებს შეატანს და დაიჭრის ხელებს. გამწარებული დედაკაცი ბავშვს აიღებს და ფანჯარაში გადააგდებს იმ იმედით, რომ გარეთ იქნება უპატრონოს ვინმემ. ერთი პატარა ბავშვი, როცა ხანჯალ ამოღებულ ყაჩაღს დაინახავს, გარეთ გავა ყველას შეუმჩნევლათ და სადაც იმალება. ხანჯალ ამოღებული მიადგება ცოლს, ქოჩორში ხელს წაავლებს და თავის მოჭრას ემუქრება, თუ ფულებს არ მისცემს. ქალი ეუბნება, რომ ცოტა ფული ბეღელშია, ბეღლისაკენ წაათრევს ქოჩორით, სადაც ნახვენ ცამეტიოდე მანეთს. იქიდგან წამოათრევს ქალს და მოათრევს, სადაც წაქცეულია მღვდელი. აქ შეუშვებს ხელს ქალს ქოჩორში და კიდევ ფულებს ითხოვს. როცა ქალი შენიშნავს, რომ მღვდელს გული წასვლია, დიდის გაჭირვებით წყალს იბუგებს პირში და შეაქცევს პირის სახეზე მოსაბრუნებლათ, რომლისათვის ორ-სამჯერ დაჰკრავს ბრტყლიურათ ყაჩაღი ხანჯალს და ეუბნება, რომ მღვდელს და მასაც თავი უნდა მოსჭრას. გარედგან ყაჩაღები უძახიან: მოსჭერი თავი ორივეს, ნავთი დაასხით და ცეცხლი წაუკიდეთ. მეორე უძახის, თუ მკვდარია, თავს ნუღარ მოსჭრი. გარეთ ბავშვების წივილ-კივილით ქვა ადუღდებოდა. თოფის სროლა არის. მცხოვრებლები ცხადათ ხედვენ, რაღაცა უბედურებაა მღვდლისას, მაგრამ შიშით ყველა კანკალებს. ბოლოს ყაჩაღები

დაამტვრევენ, დაამსხვრევენ ყველაფერს, რასაც ვერ წაიღებენ, დანარჩენს შეკვრენ, აკიდებენ ცხენებზე და გასწევენ. რვა საათიდგან დაწყებული ეს უბედურება გრძელდება თერთმეტ საათამდე და ყაჩაღები მიდიან თავიანთ ბინაზე. მღვდელი კიდევ მობრუნდება და იტყვის: „დიდის ტანჯვით და წვალებით მოვიპოვე ერთი ახალი შესამოსელი, იმ შესამოსლით დამმარხეთ“ და გათავდება კიდეც.

შემდეგ ამ უბედურებისა ბევრი მოვლენ სანახავათ და მისაშველებლათ, მაგრამ ყველა ამაოა საწყალი ლუკა ტყეშელაძისათვის,—ის მოისპო ამ ქვეყნისათვის. აი, ასე უბედურათ დასრულდა საწყალი მოძღვრის სიცოცხლე მეცხრამეტე საუკუნეში იმ დროს, როდესაც, როგორც ამბობენ, «განათლება და კეთილ წარმატება ხალხთა დიდის ნაბიჯით წინ მიდისო!».

ოთხ ყაჩაღში სამი უკვე დაიჭირეს და ერთი ჯერეთ დაუჭერელია. ერთი მათგანი ციმბირიდგან გამოქცეული ყოფილა და ასე დანავარდობს სოფლებში. ყაჩაღები ოსები არიან. მთავრობისაგან დაყენებულ ყარაულებს ოსებსაც კი მონაწილეობა მიუღიათ ამ ცარცვა-კაცის კვლაში. სწორეთ საკვირველია, რათი დაიმსახურეს ამისთანა პატივი ოსებმა და ლეკებმა, რომ „ყარაულებათ“ აყენებენ...

ჩვენ შევიტყვეთ, რომ საჩხერის სამღვდელოებას ქაღალდი მიურთმევია მთავარ-მართებლისათვის და უთხოვნიათ დაფარვა ყაჩაღებთა და ბოროტ კაცებთაგან. ეს კი ჩვენის მხრით მეტათ მიგვაჩნია. ჩვენის აზრით ამისთანა თხოვნების მირთმევა საქმეს ვერ დაეხმარება, თუ პოლიციის უწყებაში სხვა ნაირი წეს-წყობილება არ შემოვიდა, და ბოქაულების საშუალება არ მიეცა წინააღმდეგობა გაუწიოს ყაჩაღთა ბრბოს.

დეკ. დ. ღამბაშიძე

მწარე ფიქრები.

—როგორ მშვიდობით მოგიკითხოთ, ბატონო? გვკითხა ერთმა მღვდელმა ამას წინეთ.—ნეტავი რა მიზეზია, რომ „მწყემს“ აღარ იგზავნები? ორი-სამი წელიწადი უკლებლად მომდიოდა და ამ წელში აღარ მომდის.

—ალბათ ფული არ გაგიგზავნია რედაქციაში და მიტომ აღარ გიგზავნიან, მიუგეთ ჩვენ.

—მართალია წარსული წლის ფულიც არ გამიგზავნია, მაგრამ განა დაეკარგებოდა ფულები ჩემზე რედაქციას? მოგვიგო მან. ამ წელში უყურე, უყურე და რადგან აღარ გამომიგზავნეს, ავდექი და «ცნობის ფურცელი“ გამოვიწერე. ეს გამოცემა ძლიერ მიქეს, მაგრამ იგი საჩვენო არ ყოფილა. არაფერი არ არის ამ გამოცემაში უბრალო დ წვრილი ამბების გარდა. რაღა უყო, ფული გაგზავნილი მაქვს თორემ..

დიახ, არიან ჩვენ შორის ისეთებიც, რომელნიც „სტრეკოზას, „ცნობის ფურცელს» და სხვა ამისთანა გამოცემათა გამოსაწერად ფულს იმეტებენ და იმისთანა გამოცემანი, რომელნიც მათ დაეხმარებათ მათი დიდი მოვალეობის მტკიცედ და ჯეროვანად ასრულებაში, სრულებითაც არ იციან.

ნიადაგ ვკითხულობთ ჯამაგირების მომატების ამბავს; ყოველივე ღონის ძიებას ვხმარობთ ჩვენი სხეულის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ არა თუ მარტო მით, რაც საჭიროა ჩვენის ცხოვრებისათვის, არამედ გარდამეტებულითაც. ამავე დროს სრულებით არ ვცდილობთ და არავითარ მზრუნველობას არ ვიჩენთ, რომ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ ჩვენს სამსახურს კვალი დავამჩნევიოთ. დიდათ ვამადლოებთ ჩვენს სამწყსოს, რომ კვირა-უქმე დღეებში წირვას ვასრულებთ და საჭირო მღვდელ-მოქმედებას ვუსრულებთ. სრულებით არაფერს ვფიქრობთ სწავლა-მოძღვრების შესახებ. დავიწყებული გვაქვს, რომ ერთ უმთავრესს ჩვენს მოვალეობას შეადგენს სწავლა-მოძღვრება. რა სიტყვა-მოძღვრება და რა სწავლა-მეცნიერება უნდა გარდასცეს თავის სამწყსოს მღვდელმა არა თუ „ცნობის ფურცელის“ არამედ თუ გინდ, «ივერიის» და „Кавказъ“-ის კითხვით და საშუალებით!..

იმ დროს, როდესაც მრავალი სასულიერო ჟურნალები გამოდიან შვენიერი და სასარგებლო შინაარსებისა, მღვდელი იწერს „ცნობის ფურცელს“ და ფიქრობს, რომ იქ ნახავს თავის საეკვო კითხვების განმარტებას ან გაეცნობა ქართულ ლიტერატურას!!!.

შეიძლება ეს ჩვენი სიტყვები საწყენათ დაურჩეს ზოგიერთ რედაქტორებს და ბატონებს ისე, როგორც საწყენად დაურჩათ 1882 წელში ჩვენგან გამოთქმული სიტყვები. 1883 წელში ერთ ქალალდში ვსწერდით: „ჩვენში დღეს ერთი სასულიერო გამოცემა არ მოიპოვება, რომელი ნაკლიც ყველასაგან, თითქმის, შემჩნევულია. ძველ დროში ცეცხლითა და ხლმით ებრძოდენ ქრისტეს სარწმუნოებას და ისიც გარეგანი მტრები: თათრები, სპარსელები და სხვა თემის ხალხი. დღეს დრო შეიცვალა, დღეს ცეცხლითა და ხლმით კი არ ებრძვიან ქრისტეს სწავლას, არამედ კალმით. და ისიც ჩვენიანები. კალმითვე უნდა ეომოს კაცი ამ მტრებს. ამას გარდა დიდად შესამჩნევია, რომ მთელი საზოგადოება სულიერ საზრდოს მოკლებულია. მართალია, ჩვენში გამოიცემიან ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ჩვენ სამღვდელოებას და საზოგადოებას არ შეუძლია ამ ჟურნალ-გაზეთებიდან რამე სულიერი საზრდო მიიღოს»...

დაიხვიეს ეს სიტყვები თითზე ზოგიერთმა რედაქტორებმა და ბატონებმა და საშველი აღარ იყო. «როგორ სთქვით ისაო, რომ საერო გაზეთებში სულიერი საზრდო არ მოიპოვებაო? შენ დაგიბეზღებია მთავრობის წინაშე ყველა მწერლებიო და სხვა ამისთანა უსაფუძვლო შეწამება... წარმოიდგინეთ ერთი ვაჟბატონი ჩვენ ჩამოხრჩობას ურჩევდა საზოგადოებას.!..

რამდენს უმტკიცებდით ჩვენს საზოგადოებას, რომ იგი მოტყუებული იყო ზოგიერთი უსუსური და უნიჭო ვაჟბატონების მსჯელობისაგან ჩვენი მიმართულების შესახებ; რამდენს უმტკიცებდით საზოგადოებას, რომ ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს ჩვენი ხალხი, ჩვენი მწერლობა, ჩვენიანობა, ვინემ იმ ბატონებს, რომელნიც ჩვენ ღალატობას, ჯაშუშობას და ჩვენი ლიტერატურის მტრობას გვწამებდნენ. მაგრამ ვინ იყო გამგონე? ვინ გაგაცემინა პასუხი!? ერთი ვაჟბატონი საზოგადოებას ჩვენ ჩამოხრჩობასაც კი ურჩევდა, იმდენად გაბრაზებული იყო იმის გამო, რომ ჩვენ გამოვაცხადეთ «სასულიერო წოდება და სამწყსო საერო გაზეთებსა და ჟურნალებში სულიერ საზრდოს ვერ პოულობსო. როგორ თუ სულიერი საზრდო არ არის ჩვენ გაზეთებშიო? ამდენს წერენ გაზეთებში და აბა რა არის, თუ სულიერი საზრდო არაარო?.. გაიძახოდენ ისინი. ჩვენც აღარ გაგვიცია ხმა, რადგან კარგად ვიცოდით, თუ რა კაცებთან გვქონდა საქმე. ეს ამბავი იყო 1883 წელში, მაშა სადამე 16 წლის წინ. ვაკვირდები იმ დროს აქეთ ჩვენ მოწინაალმდეგე პირების ცხოვრებას და საქციელს. ღმერთო, რას ვხედავთ! ერთს თბილი ადგილი უშოვია და შენი ლიტერატურის ჯავრი არა აქვს; მეორე ქრთამებს გლეჯს თავიანთ ხელქვეითებს, მესამე რას ჩადის, ღმერთმან უწყის... ასეა ჩვენი ცხოვრება მოართული, ასე უაჯაოთ შეადგენენ ხანდისხან კეთილ მოღვაწე კაცზე უმართლო, უსაფუძვლო და ცრუ მსჯელობას და სულ ტყუვილ-უბრალოდ სჯიან და ტანჯვენ მართალს, კეთილ მოღვაწეს და საზოგადოებისათვის თავდადებულს...

ყველა ეს ჩვენი ძველი დროის თავგადასავალი ამბავი მოგვაგონა ბ. გ. წერეთლის ეხლანდელი დროის თავგადასავალმა „მეგრელი სკუები“-ს სიტყვების თქმის გამო. ღმერთო! რა არ დასწამეს ამ კაცს, რა ლანძღვა-გინება არ იხმარეს მისი შრომა მოღვაწეობის გასაშავებლად, რა სულელური დასკვნა არ გამოიყვანეს ამ უბრალო ორი სიტყვიდან! მერმე, არ იკითხავთ, ვინ? რა მიმართულების და რა ღვაწლის პატრონმა კაცებმა?! გუშინ ცხოვრებაში გამოსული, რომელსაც არა ვითარი ღვაწლი არ მიუძღვის საზოგადოების წინაშე და რომელიც მხოლოდ თავის კუჭს ემსახურება, პატრიოტობას იჩემებს და მამულისათვის ვითომ თავგამოდებით იბრძვის. მერე რა ცილს წამებს გ. წერეთელს? მეგრელების ქართველ თემობის უარყოფას და აშორდიობას ეწამება! ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, რომ სხვა კეთილ კაცებთან ამისთანა პირებსაც აძლევ ნებას, რომ ქვეყანაზე იცხოვრონ!... რა გაეწყობა! მზე როგორც ხალხს, ქვეყნის გვირგვინს, ისე აუარებელ ქვე და ზემოთ მძრომ მწერებს ერთნაირად უგზავნის სითბოს და ანათებს მათ.

რასაკვირველია, ძნელი მოსახერხებელია პატიოსანი კაცის ღვაწლის დათრგუნვა და მისი დიდი

ხნის მრომის გათახსირება. ამისათვის მოწინააღმდეგე პირები ყოველთვის მიაშურებენ იმისთანა იარაღს, რომლითაც უფრო გულს გაუტეხენ, უფრო გულს აუცრუებენ საზოგადოებას მოღვაწე პირზე; ეს იარაღი გახლავსთ მაბეზღარობის დაწამება და თავისიანების ღალატობა. ამ იარაღს ჩაჰკიდეს ხელი გ. წერეთლის ცილის მწამებელნი. „გ. წერეთელმა ბატონო გამოაცხადა, სწერდენ და ავრცელებდენ ხალხში, რომ მეგრელები ქართველები არ არიანო. გ. წერეთელს სომხები უფრო უყვარს ქართველებზეო, იმათი მხარე უკავია და საქართველოს იმათ უმტკიცებსო“... გაავრცელეს ამ ბატონებმა ამისთანა ჭორები გ. წერეთელზე როგორც ბეჭვდვით, ისე ენატანიობით. ისარგებლა ამით „ივერია“-მაც, რომ გულის ჯავრი ამოიყაროს ყველა იმ მართლის თქმისათვის, რაც გამოითქვა გ. წერეთლისაგან. ამას არ დაჯერდენ ცილის მწამებელნი, დააფრინეს კაცები, რომელთაც გაავრცელეს ხმები უმგვანო და უსაფუძვლო. „გ. წერეთელი სულ სომხებს აქებს და ადიდებსო და ქართველებს ლანძღავსო“. მიაქვსთ «კვალის» ნომრები, რომელშიაც არის ნაჩვენები ჩვენი ეხლანდელი დროის მამულების ფლანგვა, ძმათა შორის მტრობა და გაუტანლობა, დაუდევრობა და შურიანობა. ამავე დროს აქებს სომხების ერთობას, ძმობას და სიყვარულით ცხოვრებას და გამჭრიახობას, როგორც მომჭირნეობაში ისე შვილების აღზრდაში. ცილის მწამებელნი გ. წერეთელს აბრალებენ სომეხთა სარწმუნოების მიღების სურვილსაც!.. ვინც იცნობს გ. წერეთელს, რასაკვირველია, ის რიგიან პასუხს აძლევს ამ ცილის მწამებელთა; მაგრამ მრავალნი არიან ჩვენში, განსაკუთრებით ეხლანდელ დროში, რაც ეყურებათ სხვისაგან, მას გაიძახიან და თვითონ არაფრის თქმა და მოსაზრება არ შეუძლიათ. ამისათვის ხშირად ვხედავთ აქა-იქ, რომ თავგამოდებულნი იძახიან: «რა უქნია, ბატონო, ეს გ. წერეთელს? ქე რავა დაულანძღავართ ყველანი? იიმე! სომხები ყველაფრათ გვჯობია ჩვენ ქართველებსო, ჩვენ ყველაფერში გლახები ვართო და ისინი კი კარგებიო. ამას რავა იტყვის ჭკუიანი კაცი! რაც უნდა გლახები ვიყვნეთ, იმათ მაინც ვჯობივართ! მირონი მაინც გვაქვს ჩვენ, და იმათ სად აქვსთ მირონი?... იიმე, რევა იქნება ასე? ერთმა კაცმა მითხრა, ბატონო, რუსს გამოუდვია თავი და შიგ კრიჭაში უდგია სომხებსაო და გ. წერეთელი თავს იკლავს, რათ ლანძღავთ სომხებს და რაზე იმტერებთ მათო. ჩვენ მათ უნდა წავბაძოთ და ისე გონივრულად მოვიქცეთო. ღმერთმა გვაშოროს მათი წაბაძვისაგან. ჩვენ ადგილებს ვაგირავებთ ბანკშიო და ისინი არაო. რას დააგირავებენ, რომ ადგილები არა აქვსთ. არა. არა, გ. წერეთელს სომხები ყვარებია და ის ალაპარაკებს ყველაფერს».

ამისთანა სიტყვებს, რასაკვირველია, ყურადღებას არ აქცევ, როცა გესმის უვიცი და განუვითარებელი კაცისაგან, რომელსაც ახლა დაუწყია «ცნობის ფურცლის» და გაზეთების კითხვა; მაგრამ თქვენი გული მწუხარებით ივსება, როცა ამისთანავე მსჯელობა გესმისთ ზოგიერთი ჩვენი ნასწავლი პირებისაგან. ამას წინეთ ჩვენი ერთი პატივცემული პედაგოგიც სწერდა; რომ გ. წერეთელს «სომხები უყვარსო», ამასთან სიტყვები «შესაფერისნი მეუღლენი», «ცნობილნი მეუღლენი», იყო თითქმის ორმოცდა ათჯერ გამეორებული. სანამ ამ წერილის ავტორის ხელ მონაწერი არ წავიკითხეთ, არ გვჯეროდა, რომ ამ სიტყვებს იხმარდა ის ჩვენი პატივცემული პედაგოგი. ენას ძვალი არა აქვსო, იტყვიან, რაც უნდა იმას გამოთქვამს, მაგრამ გაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არც ერთ ამ ცილის მწამებელთ იოტის ოდენი საბუთი არა აქვსთ დამამტკიცებელი, რომ გ. წერეთელს სომხები უყვარდეს და ქართველები სძულდეს. აქ ყოველივე ცილის წამება წარმოსდგება იმისაგან, რომ გ. წერეთელი ზნეობითად დიდათ მაღლა სდგას ყველა იმ პირებზე, რომელნიც დაკოდილნი არიან იმის (გ. წერეთლის) სიტყვით და გამწარებულნი არიან მისგან... მოვიყვანთ ერთ უბრალო ფაქტს. როცა სომხები ხმოსნებს ირჩევდენ, ქართველებ შორის გ. წერეთელი გააშავეს და სხვა ქართველი კი აირჩიეს! მაინც გაიძახიან, გ. წერეთელი უყვართ სომხებს და სხვა ყველანი კი სძულთო. ამაზე მეტი უსამართლობა და უაჯაობა იქნება!.. ჩვენ არ ვიტყვით, რომ გ. წერეთელი არასოდეს არაფერში არ შესცდეს, მაგრამ მიჩვენეთ კაცი, რომელიც არასოდეს არაფერში არ შემცდარიყოს...

ამას გაბედულათ ვიტყვით, რომ რამდენი ცილიც უნდა დასწამონ, რამდენიც უნდა ლანძღონ გ. წერეთელი, არასოდეს არ შეუძლიათ გააქარწყლონ ის პატივისცემა, რომელიც მას მოუპოვებია ჩვენ საზოგადოებაში თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით. ნურასოდეს ნუ ელიან მისი ცილის მწამებელ-

ნი, რომ მათი მოღვაწეობა, დაწყებული გუშინ წინიდგან შეედაროს წ—ის მოღვაწეობას. გ. წერეთელს თავის პირამთქმელობა ბევრ მტრებს შესძენს, მაგრამ უნდა იცოდეს ყველამ, რომ უმტრო მარტო მკვდრებია.

გლოცავთ და გეეიდრებით, ძმანო, რომელთაც ხელში კალამი აგიღიათ, მოსპოთ თქვენ შორის უდიერი და სასირცხო კილო ლანძღვა-გინებისა სხვა დასხვა კითხვების შესახებ კამათობის დროს, რომელიც არა თუ თქვენს მკითხველებს, არამედ უცხოელებსაც კი დიდათ აწუხებს.

სოფლის მღვდელი

საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს-ფორი.

დღეს, როდესაც მთელის რუსეთის ერი დიდის აღტაცებითა და პატივის-ცემით ეგებება საფრანგეთის პრეზიდენტს ფელიქს ფორს, მეტი არ იქნება გავაცნოთ მკითხველებს ეს ევროპის მოწინავე სახელმწიფოს წარმომადგენელი და მოკლედ ვუამბოთ იმისი წარსული. აწინდელი პრეზიდენტი საფრანგეთისა ფრანსუა-ფელიქს-ფორი დაიბადა პარიზში 30 იანვარს 1841 წ., მაშასადამე ამ ჟამად იგი 56 წლისაა. იმისი მამა ჯერ პროვინციაში სცხოვრობდა და შემდეგ სატახტო ქალაქ პარიზში დასახლდა და დურგლობა და ავეჯეულობის ხელოსნობა დაიწყო. როდესაც ცოლი შეირთო, თავისის სიმამრის დახმარებით მან საკუთარი სახელოსნო დაიარსა სენ-დენის ნაწილის ერთს ქუჩაში, სადაც დაიბადა საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი. ახალგაზდა ფორი ჯერ პარიჟის ერთს სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო შემდეგ მამამ ბოვის საკომერციო სასწავლებელში მიაბარა. აქ ფორმა ოთხი წელიწადი დაჰყო და 1856 წელს მამამ ხელ-ახლა პარიჟში გადაიყვანა და იქაც ამისთანავე სასწავლებელში მიაბარა, სადაც აგრეთვე ოთხი წელიწადი იყო. 1859 წელს, სწავლის შემდეგ, მომავალი პრეზიდენტი ტყავების ქარხანაში შევიდა და ორი წელიწადი უბრალო მუშად იყო. ფორი ეხლაც ამაყობს ამ გარემოებით და ეხლანდელს თავისს სავაჭრო კანტორაში მაშინდელი სურათიც-კი აქვს ჩამოკიდებული. ამ სურათში ფორს ტყავის ტანისამოსი და ხის ფეხსაცმელი აცვია და წინ ტყავის წინსაფარი აქვს ჩამოკიდებული. შემდეგ ფორი ამბუაზიაში გადავიდა, სადაც ტყავების წარმოების შესწავლას შეუდგა. აქ მან გაიცნო ქალაქის მოურავის ახალგაზდა ქალიშვილი, საშინლად მოეწონა იგი და მოინდომა მისი შერთვა, მაგრამ თუმცა ქალი თანახმა იყო, დედ-მამამ უარი უთხრა, ჩვენს ქალს უბრალო მუშას არ მივათხოვებთო, ამისდამიუხედავად, ფორს გული არ გასტეხია. იგი ჰავრში წავიდა ფულისა და სახელის შესაძენად, რომ შემდეგ ქალის დედ-მამას უარი აღარ ეთქვათ. იქ ფორი ჯერ ერთს ტყავების მოვაჭრესთან შევიდა ნოქრად და შემდეგ სავაჭრო საამხანაგო ფირმა დაარსა „ფან-გუტენის და ფორის“ სახელით. ვაჭრობა კარგად მიდიოდა, მაგრამ საქმე რომ უფრო უკეთესად მოეწყო, ფორმა სავაჭროების გასავრცელებლად და მუშტრის მოსაპოვებლად ინგლისსა და გერმანიაში დაიწყო მოგზაურობა. სწორედ ამავე დროს გერმანიის მთავრობამ იგი თავისს ელჩად დანიშნა ჰავრში და ამ რიგად ფულთან ერთად სახელიც შეიძინა ახალგაზდა მოვაჭრემ, ეხლა-კი თამამად მოვიდა ფორი თავისს სატრფოს დედ-მამასთან და იმათაც თანხმობა განაცხადეს. ფელიქს ფორის ცოლი განათლებული, წარმოსადეგი და მეტად მხნე ქალია. აწინდელ პრეზიდენტს ორის ქალის მეტი სხვა შვილები არა ჰყოლია: ერთი მათგანი უმცროსი, ინჟენერ რენე ბერჟესა ჰყავს ცოლად, ხოლო უფროსი—ლიუსი—ჯერ გაუთხოვარია და მამასთანა სცხოვრობს.

ცოლი რომ შეირთო ფელიქს ფორმა, იმისი ვაჭრობის საქმე ერთი ორად და სამად უკეთ წავიდა. იგი განსაკუთრებით ტყავებით ვაჭრობდა და მრეწველობისა და ვაჭრობის მდგომარეობის გასაცნობად მან სხვა-და-სხვა ქვეყნებში დაიწყო მოგზაურობა.

1861 წ. იგი რუსეთსა და კავკასიაში იყო და საშინლადაც მოეწონა ეს ქვეყნები. განსაკუთრებით კავკასიის ბუნების და ჰავისაგან აღტაცებაში იყო მოსული, მაგრამ ამასთანავე მეტად განცვიფრდა, რომ ასეთ ბუნებით მდიდარის ქვეყნით შესაფერად ვერ სარგებლობენ და ფულს ვერ იღებენო. აი, სხვათა შორის, რასა სწერდა ფორი კავკასიის შესახებ: «საკვირველია, რომ გერმანელები, შვეიცარიელები და ფრანგები ფულის საშოვნელად ამერიკაში გარბიან,

სადაც სილარიბის მეტი არაფერი მოელით და კავკასიას-კი ყურადღებას არ აქცევენ, იმისდა მიუხედავად, რომ ბუნების სიმდიდრით ამ ქვეყანას არც ერთი კუთხე არ შეედრებაო». სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფორმა რამდენიმე წიგნი გამოსცა სხვა-და სხვა ქვეყანაში ვაჭრობისა და მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

პრუსიისა და საფრანგეთ შორის ომის დროს ფელიქს ფორი თავისუფალ მეომრად შევიდა და მალე თავისს მამაცობისა და ვაჟკაცობის წყალობით ჯარის უფროსობა და საპატიო ლეგიონის ორდენი მიიღო. ამავე დროს იგი გამბეტას მინდობილებით აუარებელს იარაღსა და ტანისამოსს ჰყიდულობდა ინგლისში და ჯარის კაცებისთვის მოჰქონდა საფრანგეთში. ასეთის თავ-განწირულის მეცადინეობის წყალობით ფორმა ჰავრელების სიყვარული და პატივის ცემა მალე დაიმსახურა. ფელიქს ფორი უკვე ორმოცის წლისა იყო, როდესაც ჰავრელებმა თავიანთ წარმომადგენლად აირჩიეს პარლამენტში. შემდეგ გამბეტამ ვაჭრობის მინისტრის ამხანაგად დანიშნა და კაზიმირ პერიეს მინისტრობის დროს-კი საზღვაო მინისტრობა მიიღო, ბოლოს დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას ასრულებდა. ყველა ამ თანამდებობის დროს ფელიქს ფორმა სამაგალითო მხნეობა, საქმის დაკვირვება და მუყაითობა გამოიჩინა. განსაკუთრებით იგი ვაჭრობისა და მუშათა საქმეებს აქცევდა ყურადღებას და აუარებელი პროექტები წარუდგენია ამ საგნების შესახებ პარლამენტში. 1893 წელს, 14 ნოემბერს, ფორმა ზღვათა მინისტრობას თავი დაანება და ოთხის დღის შემდეგ-კი, როდესაც კაზიმირ პერიემ აღარ ინდომა პრეზიდენტობა, მთელი სახელმწიფოს პრეზიდენტად იქმნა არჩეული. პრეზიდენტობის დროს ფელიქს ფორმა მთელის საფრანგეთის ერის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ყველგან, სადაც პრეზიდენტი ყოფილა, ხალხი აღტაცებით და სიხარულით ეგებება ხოლმე.

თავ. ნიკოლოზ დიასამიძის მოკვლის ამბავი

თავ. ნ. დ. დიასამიძე 13 მარიამობისთვის მარტო თურმე გაემგზავრა შარაბნით სად. გომში, სადაც იმ დღეს მისი უფროსი შვილი გრიგოლი უნდა ამოსულიყო. შინ თურმე ურჩევდნენ, თქვენ ნუ წაბრძანდებით, ბიჭი გავგზავნეთო, მაგრამ არა ჰქნა, საღამოს 7 საათსა და 15 წამზედ მამა-შვილნი გომიდგან ბრილში წავიდნენ კაბრიოლეტით. საღამოს 9 საათი იქნებოდა, რომ დიასამიძენი სოფლის მახლობლად ბოგირს მიადგნენ; ცხენები უცბად შეფრთხნენ და უკან დაიწიეს. თავადმა ნიკომ გადასვლა დააპირა, შვილმა ურჩია თურმე,—მამა, ნუ გადახტები, ქვეიდგან მოუარეო. აქ რაღაცა ამბავი უნდა იყოსო, უთქვამს ნიკოს და გადამხტარა, მაგრამ ბოგირი აყრილი დაჰხვედრია. მაშინ შვილისათვის დაუძახნია, ბოგირი ვიღასაც აუყრია და შვილსაც ჯაგებიდგან ვიღასიც ჩურჩული თურმე მოესმა. გრიგოლს უთქვამს: მამა დავბრუნდეთო, მაგრამ ამის თქმა ვერ დაუთავებია, რომ ამ დროს თოფებს უგრიალიათ. ცხენები შეფრთხნენ თურმე და გრიგოლი გაიტაცეს. თითქმის ერთ ვერსამდე ათრიეს. ბოლოს საძნეურემი შემოჰხვედროდა და გლეხებს შეეყენებინათ ცხენები. გრიგოლს მაშინვე ეთქვა, ერიქათ, მამა მომიკლესო.

მაშინვე ყველანი უკან მიბრუნდნენ თურმე, მაგრამ ამასობაში საათ ნახევარმა გაიარა. თავ. ნიკო უკვე დაჭრილი და მთლად დაბეგვილი დაჰხვდათ $1^{1}/_{2}$ საჟ. სიღრმე თხრილში დაჭრილ ნიკოს, რომელსაც თურმე ტყვია მოჰხვედროდა: ერთი მკერდში და მეორე მკლავში, თავპირი ცემით დალურჯებული ჰქონდა. როგორც სჩანს, მკვლელებს იმ შიშით, რომ ვაი თუ სუბუქად იყოს დაჭრილიო, თავ-პირში უცემიათ კიდევ. დაჭრილს გრძნობა დაკარგული ჰქონდა. როდესაც აიყვანეს სოფელში, გონს მოვიდა და

გარს შემოხვეული ხალხი დაინახა, რამდენჯერმე დაიძახა თურმე: „ნუ დამაღრჩოფთო!“ სულ ნახევარი საათი-ღა იცოცხლა და სული დალია.

ახლა ამ საქმის შესახებ უკვე სასტიკი გამოძიება სწარმოებს. ერთი მისი ნაყმევი, იცნაშვილი, უკვე გამოტყდა, მე მოვკალიო. «ივერია»

წერილი რედაქციისადმი

(ზუგდიდის მაზრიდან)

მაისის თვის 24-25 რიცხვებში მე დავესწარი დიდ-ზანის მაცხოვრის ეკკლესიაში ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის გრიგორის წირვას. ყოვლად სამღვდელოს წირვამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს სიამოვნება ერთი ორად გააორკეცა ამ ეკკლესიაში ადგილობითი მკვიდრთაგან შემდგარმა მგალობელთა გუნდის მშვენიერმა გალობამ. ამ მგალობელთაგან არა მარტო მლოცველნი, არამედ თვით მათი მეუფებაც დიდი კმაყოფილი დარჩა. სწორეთ სასიამოვნო მოვლენაა ამ გვარი წესიერი გალობის დაწყობა სოფლის ეკკლესიებში. მაგრამ მოცადინე და სარწმუნოებით საქმით ხელის მომკიდე ადამიანს რის გაკეთება რა შეუძლიი!

ამა ეკკლესიის პირველ მღვდლად, ეს სამი წელი იქნება, რაც გადმოყვანილია ბლაღოჩინი მღვდელი კონსტანტინე ბერიძე. გადმოყვანისათანავე მ. ბერიძემ თავისი მოვალეობისამებრ მიჰყო ხელი მისდამი რწმუნებული ეკკლესიის გამშვენიერებას. მან მომეტებული ყურადღება მიაქცია საეკკლესიო გალობის გამშვენებას, რაისათვის მოიწვია თავის საბლაღოჩინოდან ერთი მედავითნე ივლიან ჯიჯელავა, რომელსაც ძველი საეკკლესიო ქართული გალობა ზედმიწევნით შეუსწავლია. ბ. ჯიჯელავამ შარშან, ივლისის თვეში შეჰკრიბა ექვსი თუ შვიდი პირი, გულმოდგინეთ დაუწყო მათ სწავლება და რამდენიმე თვის განმავლობაში შეასწავლა ამ პირთ წირვის წესი და რამდენიმე სძლის პირი. და ნახა თუ არა, რომ აქაურნი მკვიდრნი გულ მხურვალედ ეკიდებიან გალობის შესწავლას, ამავე სოფლის სამინისტრო სკოლის მასწავლებელმა სპირიდონ ხუბულავამ სთხოვა მ. ბლაღოჩინს, რომ მოეპოებია მისთვის საეკკლესიო ქართული გალობის ნოტები, რომლითაც უფრო გაუმჯობესდებოდა გალობის საქმე. მ. ბერიძემ თავის საშვალებით უშოვა მასწავლებელს ხუბულავას ბ. ქორიძის მიერ ნოტებზე გადმოღებული გალობა. დღეს მასწავლებლის ხუბულავას დაუღალავი მეცადინეობით დიდ-ზანის მაცხოვრის ეკკლესიაში ყოველ კვირა-უქმე დღეებში გაისმის ორ გუნდათ მშვენიერი გალობა, ყოველ წირვა ლოცვაზე ეკკლესია მლოცველებით გაჭედილია.-დიდათ სასიხარულოა ის გარემოებაც, რომ აქაური მაღალი საზოგადოებაც გულ მხურვალედ დახვდა ამ სასარგებლო საქმეს და თვითონაც სწავლობს გალობას. ჯერ-ჯერობით მგალობელთა რიცხვს ეკუთვნიან: თ. თ. მელიტონ გახუას ძე, დათა ბახვას ძე და ტარიელ ჯარისმანის ძე აფაქიძეები, სამღვდელო დიაკონი ამა ეკკლესიის მ. ანდრია ბერულავა, მწერალი ამავე სოფლისა მაქსიმე შურღლავა და თვით ლოტბარი მასწავლებელი სპირიდონ ხუბულავა. ყველა ეს პირნი დიდი მადლობის და ქების ღირსნი არიან. აგრეთვე დიდი ქების და მადლობის ღირსია მ. ბლაღოჩინი კონსტანტინე ბერიძე, რომ ის თავის მოვალეობას ასრულებს მზგავსად თვისი დანიშნულებისა. უფრო საქები იქნება იგი, თუ რომ თავის საბლაღოჩინო ოლქის ყველა ეკკლესიებში დააწყობს გალობის საქმეს იმ რიგად, რა რიგადაც თავის ეკკლესიაში დაუწყვია. ღმერთმა ჰქნას, რომ მ. ბლაღოჩინ ბერიძეს აღმოუჩნდენ მიმბაძველნი და ნაცვლად დამახინჯებული გალობისა გაისმოდეს ჩვენს ეკკლესიებში ღუღუნი წმინდა საეკკლესიო გალობისა.

მგზავრი

ახალი ამბები და შერეშვნები.

14 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, პრეზიდენტი, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი, დილის 11 საათზე, გემით «ალექსანდრითა» პეტერგოფიდგან კრონშტადტის ნავთსადგურში მივიდნენ, სადაც საფრანგეთის ესკადრა ინახულეს. აქვე „პოტიუიოს“ გემზედ საუზმე იქმნა გამართული. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა, დიდნი მთავრინანი დიდნი მთავარნი პრეზიდენტსა და დანარჩენს ფრანგ სტუმრებს გამოეთხოვნენ. სიმაგრიდგანა, საზღვავო ციხეებიდგანა და სამხედრო გემებიდგან ზარბაზნების ხმა გაისმა. საფრანგეთის ესკადრა ზღვაში შევიდა. მათნი უდიდებულესობანი გემით „ალექსანდრიათი» პეტერგოფს დაბრუნდნენ.

საუზმის დროს. რომელიც „პოტიუიოს» გემზედ იქმნა გამართული, პრეზიდენტმა მათს უდიდებულესობას შემდეგის სიტყვებით მიჰმართა:

«ვმადლობ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობასა და აგრეთვე მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას, რომ ესოდენ უმოწყალესად ინებეთ და საფრანგეთის ფლოტის ხომალდი ინახულეთ. მით უფრო ბედნიერი ვარ, რომ ეს გარემოება ნებას მაძლევს ჩვენთა დროშათა ქვეშ განვუცხადო თქვენს უდიდებულესობას, თუ რამდენად აღტაცებული ვარ თქვენის უდიდებულესობის მასპინძლობით და რამდენად მადლობელნი ვართ რუსეთის ერისა, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ესრედ საუცხოვოდ დაუხვდა. თქვენმა უდიდებულესობამ რუსეთისა და საფრანგეთის ზღვაოსნებთან ერთად ინება საფრანგეთს მობრძანება; აწ მეც მათ შორის, აღტაცებული, რუსეთს უძღვნი გამოსათხოვარს სალამს. საფრანგეთისა და რუსეთის ფლოტს შეუძლიანთ იამაყონ, რომ პირველის დღიდგანვე იმ დიდ თავგადასავალში მიიღეს მონაწილეობა‘ რომლითაც საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრობა დაიწყო; მათ დაახლოვეს ორთავ მხრიდგან გაწვდილი ხელი და ორს მეგობარს და მეკავშირეერს, რომელნიც ცივილიზაციისა, კანონიერობისა და სიმმართლის იდეალით ხელმძღვანელობენ, შეაძლებინეს წრფელისა და წმინდის გულით შეერთებულიყვნენ, ერთმანეთს ძმებივით გადაჰხვეოდნენ. თქვენის უდიდებულესობისა და ხელმწიფე იმპერატრიცას სადღეგძელოდ ხელთ ვიღებ ჭიქას გამოთხოვების წამს და გთხოვთ მიიღოთ ჩემი მხურვალე სურვილი ბედნიერებისა თქვენის უდიდებულესობისა და მთელის სამეფო ოჯახის მიმართ. საფრანგეთის სახელით ვსვამ სადღეგრძელოს რუსეთის სადიდებელად».

ხელმწიფემ უპასუხა:

«სიტყვები, რომლითაც თქვენ მე მომმართეთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემს გულში მხურვალე თანაგრძნობას ჰპოულობენ და სრულიად ეთანხმებიან იმ გრძნობათ, რომელნიც მე და ჩემთან ერთად მთელს რუსეთს გვამხნევებენ. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი ჩვენ შორის ყოფნა ჩვენ მეგობარ და მოკავშირე ერთა შორის ახალს კავშირსა ჰბადებს, რომ მთელის ჩვენის ძალით ერთნაირად ხელი შეუწყოთ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას, რომელიც კანონიერობასა და სიმართლეზეა დამყარებული. ნება მომეცით, ბატონო პრეზიდენტო, მადლობა გადაგიხადოთ მოსვლისა და ნახვისათვის და თქვენ სადღეგრძელოდ და საფრანგეთის ასაყვავებლად სტაქანი გამოვცალო».

***

უწმ. სინოდის გარდაწყვეტილებით შვილებს იმ მასწავლებლებისას, რომელთაც სამრევლო-საეკლესიო და წერა-კითხვის სკოლებში ათ წელიწადზედ ნაკლებ არ უმსახურნიათ, არ გადაჰხდებათ სასულიერო სასწავლებლებში სწავლის ფასი ისე, როგორც სასულიეროს წოდებაში მოსამსახურეთა შვილებს არ ერთმავათ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.

რჩევა ყმაწვილებს.

გულფიცხელობა და შეუპოვრობა.

თუ შენ იმიტომ არა გსურს მიიქცე ღვთისადმი, რომ იგი მოწყალეა, აქედან ცხადია, რომ შენა გსურს ბოროტად მოიხმარო ღვთის მოწყალება და სულგრძელება. ან ეგებ შენ არ გესმის, რომ ღვთის მოწყალებას და სიტკბოებას მიჰყავხარ შენ სინანულისადმი (რომაელ. 2, 4).

რომელი ზდილობიანი შვილი მოექცევა მოსიყვარულე მამას უზრდელად და მუდამ იმის ცდაში იქნება, რომ სულ ახალ ახალი ცუდი საქმეებით გააჯავროს მამა?

ვინ იქნება ისეთი უგნური ქვეშევრდომი, რომ ბოროტად მოიხმაროს მოწყალება მეფისა, რომელმაც უკვე აპატივა მას დანაშაული, რომ შემდეგ მაინც კარგად მოიქცეს და თავისი მოვალეობა არ დაივიწყოს?

სწორეთ იმისათვის, რომ ღმერთი მოწყალე, მოსიყვარულე, და სუგრძელია და ყოველთვის მზად არის გვაპატიოს ჩვენ ჩვენი ცოდვები, მეც ვალდებული ვარ ვიყო კეთილი, ე. ი. უნდა მოვიხმარო მისი სიყვარული, ღირსი უნდა ვიქმნე მისი მოწყალებისა და ბოროტად არ უნდა მოვიხმარო მისი სულგრძელება.

შენ ამბობ: მე ღმერთმა მრავალ გზის მაპატივა; ამიტომ იგი შემდეგშიაც სისწრაფით მიმიღებს, როცა მოვინანებ.

შენ, როგორც ჩანს, არ იცი, ჩემო მეგობარო, რომ ღვთის სულგრძელებასაც აქვს შენში თავისი საზღვარი. მართალია, ამ წამში იმისი მოწყალება უხვად გეფლინება შენ, მაგრამ ისიც წარმოიდგინე, რომ ეხლა შენი სული მხიარულია, შენი გული მარჯვედ ცემს და ყოველივე ღვთისაკენ გიზიდავს, მაგრამ შემდეგ რა მოხდება?

როგორც უფალი ღმერთი განაგებს დროსა და ჟამს, აგრეთვე განაგებს იგი თავის მოწყალებას.

მხოლოდ ის ცხოვნდება, რომელიც ჭეშმარიტად მოიქცევა. მხოლოდ ჭეშმარიტ მონანებას შეუძლია დაიმსახუროს ღვთის მოწყალება. და სანამ შენ ცოცხალ ხარ, ღმერთი მზად არის მოგივლინოს შენ მოწყალება, რომლის შეწევნით შენ შეგიძლია მიიქცე ღვთისადმი. მაგრამ ისარგებლე შენ ამ მოწყალებით?

ნაცვლად ამისა შენ ხშირად და ხან ხანგრძლივადაც ყურს არ უგდებ ღვთის ძახილს! ხშირად მაცხოვარი მდგარა შენ გულის კარებთან და სურვებია შიგ შესვლა! (განც. 3, 20). მაგრამ არა! შენი გული დახშულია და ხანდისხან იქიდან მხოლოდ ისმის უზრდელი სიტყვები, დაცინვა და გინება. რა გასაკვირველია, რომ ამის შემდეგ ღმერთი მოგშორდეს შენ და მერე მისი ხმა და ძახილი ისე მკაცრად აღარ მოგესმას?

თავს ნუ იტყუებ, ჩემო მეგობარო: ღმერთი არა შეურაცხ-იქნების (გალატ. 6, 7). მე გიძახით თქვენ, ამბობს სიბრძნე (1, 24—26), ხოლო თქვენ არ ისმინეთ ჩემი; მე მოგაწოდეთ ხელი ჩემი საშველად და ყურადღება არ მომაქციეთ, თქვენ უარჰყავით ყველა ჩემი რჩევა და ჩემ მიერ მხილება არ მიიღეთ; ამიტომაც მე სამძიმოდ არ დამირჩება თქვენი დაღუპვა.

ეძიებდეთ უფალსა, როცა შეიძლება მისი ხილვა; მოუწოდეთ მას, როცა იგი ახლოს არის (ისაია 56. 6).

„ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი არს, რათა არა გეწიოს თქვენ ბნელი» (იოან. 12, 35).

„შეურიგდი შენს მოწინააღმდეგეს, ვიდრემდე ხარ მისთანა გზასა ზედა, რათა წინამოსაჯულმან შენმან არა მიგცეს მსაჯულსა“ (მათ. 5, 25).

ვკურნავდით ჩვენ ბაბილონს, მაგრამ არ განიკურნა; თავი დაანებეთ მას, ვინაიდგან მისმა სისაძაგლემ უკვე მიახწია ცამდე და ამაღლდა ღრუბლამდე (იერ. 51, 9).

«იღვაწეთ შესვლად იწროისა მისგან კარისა; ხოლო გეტყვი თქვენ, მრავალნი ეძიებდენ შესვლად; და ვერ უძლონ» (ლუკ. 13, 24).

მ 979 / 1897 / 2

შენ შეიძლება ფიქრობ, რომ ყოველ წამს დავითთან ერთად ადვილად შეგეძლოს თქვა: „ვცოდე მე ღვთის წინაშე“ (2 მეფეთ. 12, 13) და მის მსგავსად მიიღო მიტევება; მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ თქვა, საქმე იმაშია, რომ ისე შეინანო, როგორც დავითმა. უბრალო სიტყვა საქმეს არ ნიშნავს. განა ამ სიტყვას არ იმეორებდენ ფარაონიც, საულიც, ანტიოხიც და იუდაც? მაგრამ როგორი გულით ამბობდენ ამ სიტყვას? განა ისინი არ დაიღუპენ?

ღმერთმა დიდი დრო მისცა მათ მოსანანებლად, მაგრამ იგინი ბოროტად ხმარობდენ ამ დროს და კიდევ უფრო ეწინააღმდეგებოდენ ღმერთსა.

ან შეიძლება მონანება ყოველთვის უნდა გადადვა ავადმყოფობამდე, ანუ სიკვდილის დრომდე? მაგრამ უბედურება ისაა, რომ სიკვდილი ხშირად უეცრად გვეწვევა ხოლმე.

ნუ თუ შენ გსურს მოინანო მაშინ, როცა ცოდვების ჩადენაც აღარ შეგეძლება? ამ დროს თვით ცოდვები გტოვებს შენ და არა შენ ცოდვებს.

რა იმედი უნდა ჰქონდეს პირმოთნეს, როცა ღმერთი მიიღებს მისგან სულს? ნუ თუ ღმერთი შეისმენს მის გოდებას—ტირილს, როცა მას ეწვევა უბედურება?

იცი შენ თუ არა, რომ შენი გაუგონლობა უფრო მომეტებულად არისხებს შენს მაცხოვარს? თუ შენ მოკვდები ახალგაზდა ცოდვებ მონანებული, ღმერთი გაგსჯის ახალგაზდას. შეიძლება შენ დიდხანს იცოცხლო და, თუ მონანების საქმე ყოველთვის შემდეგისათვის გადადევი, შენ ძლიერ ბევრ დროს დაკარგავ, შენ დაკარგავ თვით უკეთეს დროს შენი ცხოვრებიდან—ახალგაზდობას, შემდეგ კი შენი მოქცევა უფრო საეჭვო და საძნელოც შეიქნება და კიდეც რომ მოინანო, დიდ არაფერ სამსახურად ჩაგეთვლება.

რატომ მინდა, რომ ულეის გასაკეთებელი ხვალისათვის გადავდვა? დიდხანს გავიმეორებ ამ სიტყვებს? რატომ ახლავე, ამ წამს არ უნდა მოვინანო მე ჩემი ცოდვები და გავიწმინდო, თავიდან მოვიშორო ცუდი სახელი, გავიწმიდო სინდისი საიდუმლო სინანულით და დავიწყო ახალი უკეთესი ცხოვრება, როგორც გვასწავებს ქრისტე და მისი წმიდა ეკკლესია?,..

განცხადებანი.

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების, წერეთლების და ვ. ბექანეიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1, საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სეროზა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ-ს ნიშნებით—ფასი . . 40 კ.
3. დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალა კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჩვენებური «ბატონები» და ექიმების ბაცილები და ბაქტერიები . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ᲔᲗᲐᲕᲐᲠ-ᲛᲝᲬ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ.—ფასი . 5 კ.
5. ᲗᲐᲠᲫᲘᲘᲡ მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ საწვლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ᲢᲐᲫᲠᲐᲓ ᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ, Ფ. . 2—
3. ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡ-ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡᲐ ᲯᲯᲕᲐᲠᲘᲡᲐ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ . . . 2—
4. ᲨᲝᲑᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ . . . . . 2 კ.
5. ᲛᲘᲠᲫᲛᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ.—ᲤᲐᲡᲘ . 2—
6. ᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ 2—
7. ᲑᲖᲝᲑᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ—ᲤᲐᲡᲘ . . . 2—
8. ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ—ᲤᲐᲡᲘ . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—

6. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. ᲛᲔᲤᲔ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ.ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ—Ფ. 5—
2. ᲔᲡᲗᲔᲠᲘ (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე ᲘᲡᲝ ძისა ᲖᲘᲠᲐᲥᲘᲡᲐ, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—

წყალ-წმიდის ძმობისაგან.

დაარსდა წყალ-წმიდის ძმობის საშუალებით ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა ოზურგეთის მაზრაში (გურიაში), სუფსისა და ნატანების სადგურებშუა, რკინის გზის ლიანდაგის ახლოს, აღმოსავლეთით. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

უმთავრესი მიზანი წყალ-წმიდის სკოლისა ისაა, რომ, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, გაავრცელოს ობოლთა და დაჩაგრულ მოზარდთა შორის სწავლა-განათლება, დაამყაროს მათში კეთილ-ზნეობა და შეაჩვიოს ისინი გონივრულს შრომას, რათა მხნედ და ხერხიანად გაუმკლავდნენ მომავალ ცხოვრებისათვის ბრძოლას.

ამ აზრით ძმობას აქვს საკმარისი ადგილი, ას ქცევაზედ მეტი, საჭირო შენობები სკოლისათვის, საკუთარი ეკკლესია, წისქვილი, ვენახები, ჰყავს ფუტკარი, მსხვილ-ფეხი საქონელი და სხვანი.

ძმობას აქვს მომზადებული ყოველივე, რაც 40 მოსწავლის მუდმივ ცხოვრებისათვის არის საჭირო: საუმელ-სასმელი და სხვ. 10 იმ მოსწავლეს, რომელნიც აღმოჩნდებიან სრულიად უპატრონონი, უკანონოდ შობილნი და უღარიბესი ობლები, წოდებისა და საარწმუნოების გაურჩევლად, ძმობა შეინახავს თავისს ხარჯით, ხოლო 30-ს ძლიერ შემცირებულის საფასით აიყვანს იმათისავე შეძლების კვალობაზედ, მამათა სქესს—8—15 წლ. სწავლა ისეთივე იქნება, როგორც შემოღებულია საზოგადოდ სამრევლო სკოლებში. ხოლო სწავლისაგან თავისუფალ დროს ასწავლიან სამეურნეო საგნებს, მაგალითებრ: ხვნა-თესვას, მევენახეობასა, მებოსტნეობასა, მეფუტკრეობასა, მეაბრეშუმეობას და სხვას. აგრეთვე სხვა-და-სხვა სენთა და მოულოდნელ უბედურებათა მკურნალობას, მაგალითებრ, დაჭრილ-დაშავებულისა, წყალში დამჩვალისა და დაშხამულისა.

თამაშობის მაგიერად შემოღებულ იქნება ნავოსნობა, რომლისათვისაც ძმობას ექნება საგანგებო ტბები და მასში ჩაშვებული პაწია ნავები ბავშვების სავარჯიშოდ. აგრეთვე ისწავლიან ლექსებსა და სიმღერებს. ყურადღება მიექცევა აგრეთვე იმას, რაც გაწვრთნის და გაავარჯიშებს ბავშვის სხეულს.

საღამოობით ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტების საშუალებით, რომლისათვისაც მოწვეული

იქნება საგანგებო ლოტბარი. (თუ კერძო კაცთაგანმა ვინმემ მოისურვა ამ გალობის სწავლა ზამთრობით, იმათაც ასწავლიან უსასყიდლოდ).

ძმობას ექნება შეძენილი მოსწავლეებისთვის საჭირო პაწია იარაღები, სამუშაოდ. აგრეთვე ძმობა მეცადინეობს შეიძინოს მაღალი ადგილი შენობის ასაგებად, სადაც ზაფხულობით სკოლა იქნება გადატანილი. ძმობა ეცდება შეისყიდოს სკოლისა და მოსწავლეთათვის საჭირო მასალა, რომ გაუადვილონ ხარჯი იმათ მშობლებს.

ყოველ ზემოხსენებულს გარდა, თუ სკოლის საქმე კარგად წავიდა და ნივთიერი შეძლება ხელს შეუწყობს, ძმობას აზრადა აქვს, ამ სკოლას მეორეც მიუმატოს.

იოსებ ლეჟავა და სიმონ ქორიძე.

კერძო საავადმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავადმყოფოში დგას ო რ მ ო ც ი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავადმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს
ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ შარდით და სიფილისით
ექ. ფ. კ. გერრატი.

დედაკაცურ ავადმყოფთა და საბებიოს ქალი
ექ. მ. ფ. კაგანი.

თვალების ავადმყოფისათვის
ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავადმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

დაბა ყვირილაში 1886 წლიდან დღემდის არსებობდა ყოველგვარი საეკკლესიო ნივთების საწყობი ყვირილის ეკკლესიის ეზოს ერთ საეკკლესიო ოთახში. დღეს ჩვენს საკუთარ მაღაზიაში მოვათავსეთ

ყოველგვარი საეკკლესიო ნივთები,

ასე რომ ჩვენს მაღაზიაში დღეს ყოველივე ნივთის ყიდვა შეუძლიათ მსურველთ და

✦ უფრო იაფად ✦

ვინემ სხვაგან.

რომ დარწმუნდეს მკითხველი ამ სიტყვების სიმართლეში, საკმაოა ფასების შედარება სხვებთან.

ამასთან მაღაზია გაუწევს ყველას საიმედო კომისიონერობას ზარების, იკონოსტასების და სხვა საეკკლესიო მვირფასი ნივთების გამოწერაში. გატეხილ ზარებს აიღებს ფუთს თუმნად. ჩვენს მაღაზიაში მოიპოვება არა მარტო საეკკლესიო ნივთები, არამედ

ქართულ და სლავიანურ ენაზე

დაბეჭდილი საეკკლესიო წიგნებიც.

● ჩვენი საეკკლესიო ნივთების მაღაზიის უმთავრესი მიზანი არის **გაიაფება** ყოველ გვარი საეკკლესიო ნივთებისა.

დავით ღამბაშიძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოფიციალური განყოფილება: უმაღლესნი ბრძანებანი.—

სალიტერატურო განყოფილება მღვდლის ლუტყემალაძის მოკვლა ყაჩაღთაგან.—მწარე ფიქრები,—საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი.——წერილი რედაქციის მიმართ ზუგდიდის მაზრიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: რჩევა ყმაწვილებს.

— განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 августа 1897 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

№ 16 1883—1897 30 აგვისტო

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

უმაღლესნი ბრძანებანი.

I. სახელმწიფო საბჭომ სახელმწიფო ეკონომიის, კანონების და სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა შეერთებულს დეპარტამენტებში, განიხილა რა ბ-ნ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენილება იმის შესახებ, რომ მართლ-მადიდებლობითის უწყების საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის შკოლების გასამართად და შესანახად ყოველ წლობით სახელმწიფო ხაზინიდგან მოსაცემს ხარჯს დაემატოს კიდევ 1,500,000 მან. (მილლიონ ნახევარი მან.), თვისის ჰაზრით დაადგინა: ა, მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდგან, 1897 წლიდგან ერთი მილლიონი ხუთას ათასი მანეთი ყოველწლობით დასამატებლად იმ ჯამთა, რომელნიც უნდება თანახმად უწ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვისა, პირველ-დაწყებითის საერო განათლების საჭიროებათა დაკმაყოფილებას, ისე კი, რომ, უკეთუ სახარჯთ-აღრიცხვის ვადის გასვლის შემდეგ ფული დარჩეს რამე, ეს ფული უწ. სინოდის იმ საკუთარ საშუალებათა რიცხვში ჩაწერილ იქმნეს, რომელსაც სინოდი ხარჯავს გასამართად და შესანახად საეკკლ. სამრევლო და წერა-კით. სკოლებისა; ამასთანავე ამ ახლად-გამოღებული ფულის დახარჯვა უნდა აკმაყოფილებდეს იმ პირობას, რომელიც დაწესებულია უმაღლესად დამტკიცებულის 5 თიბათვეს 1895 წ. სახელმწიფო საბჭოის ჰაზრის მესამე სტატიის პირველის შენიშვნის მიერ; ბ, ხსენებულ საჭიროებათათვის მომდინარე წელში გამოღებული ფული ჩაიწეროს იმ სათუო თანხასთან ერთად, რომელიც აღნიშნულია უწ. სინოდის 1897 წ. ხარჯ-აღრიცხვის § 8 სტ. 3; თანაც უწ. სინოდს ნება ეძლევის დახარჯოს ეს ფული საზოგადო საფუძვლის ძალით; გ, დაევალოსთ უწ. სინოდის ობერ-პროკურორს და საერო განათლების მინისტრს ყოველი ზომები მიიღონ, რათა პირველ-დაწყებითს სახალხო განათლებაში დაცულ იქმნეს მიმართულების ერთობა იმ საფუძველთა ძალით, რომელნიც დაწესებულ არიან უმაღლესის ბრძანებით 18 იანვარს 1862 წ. (მეორე სრული კრებული რუსეთის სახელმწ, კანონებისა მე-37873 ნომერი), და ამ მიზნით განუწყვეტლად თვალ-ყური უნდა ედევნოს მას, რათა როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო უწყების პირველ დაწყებითს სკოლებში სწავლება აძლევდეს ხალხის მოზარდთა თაობათა ცხოვრებაში სასარგებლო პირველ-დაწყებითს ცოდნას და ამასთანავე ზრდიდეს და ამტკიცებდეს მათს სარწმუნოებას და კეთილზნეობას; დ, დაევალოს უწ. სინოდის ობერ-პროკურორს შეამუშავოს გამოკვლევების ჩვენებით დებულებანი იმ სკოლების შესახებ, რომელნიც სასულ. წოდების უწყების ქვეშ არიან და შეიტანოს ეს დებულებანი, ქვემდებარე უწყებაებთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად არსებულის წეს-რიგით. სახელმწიფო საბჭოის აღნიშნული ჰაზრი, 26 მაისს ამა წლ. უმაღლესად დამტკიცებულია.

II. 13 მარტიდან—11 აპრილ. 1897 წ. მე-916 №-ით, შესახებ ღონისძიების მიდებისა დაცვისათვის სასაფლაოებისა კეთილ წესიერად.

ბრძანებისამებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწ. და უმართებ. სინოდმა მოისმინეს: წინადება ბ. სინოდალურის ობერ-პროკურორისა, 6 თებერვლიდამ ამა წ. მე-906 ნომრით სასაფლაოების კეთილწესიერად დაცვის შესახების ღონისძიების ზო-

მების მიღების თაობაზედ, და; შემდეგ გამოკვლევისა ბრძანეს: ჩერნიგოვის ღუბერნატორი თვის ყოველადუქვეშევრდომილესს ანგარიშში ჩერნიგოვის გუბერნ. 1895 წ. მდგომარეობის შესახებ, სხვათა შორის, დასძენს: გუბერნიაში სარევიზიოდ მიმოსვლის დროს ყოველს ადგილს იქმნა ყურადღება მიქცეული სასაფლაოების დაცვაზედ. უნდა გამოვტყდეთ, რომ თითქმის არსად ყოვლის ყურადღების, პატრონობის, დაცვის და პატივისცემის ღირსი გარდაცვალებულთა განსასვენებელი არაა ისეთს მდგომარეობაში, რომელსაც თხოულობს სარწმუნოებითი გრძნობა გარდაცვლილთა ხსოვნის წინაშე კეთილ მოწიწებისა. ყოველს ადგილს ბრძანება გაცემულ იქმნა, რომ სასაფლაოზედ პირუტყვები აღარ ეძოვებიათ, იქითგან ღორები გაერეკნათ, გალავნები გაეახლებიათ, სასაფლაოები გაეწმინდათ და გზები გაესუფთავებიათ; პოლიციას სასტიკათ ებრძანა ამას ყურადღება მიექციოს.. ანგარიშის ამ ადგილის პირდაპირ მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ კეთილ ინება დაწერა: „ეს კითხვა მთელს რუსეთს შეეხება», და –ანგარიშის სიტყვების ქვეშ „სასაფლაოების შენახვა» საკუთარის ხელით ხაზის გასმა. მინისტრთა კომიტეტმა, სადაც ხსენებული ანგარიში, უმაღლესის ბრძანებისამებრ, შეტანილ იქმნა, კომიტეტის საქმეთა გამგის სტატს-სეკრეტრის კულომზინის საშუალებით, ყოველივე ეს გარემოება აუწყა სინოდალურს ობერ-პროკუროროს და ამ უკანასკნელმა აცნობა უწ. სინოდს. ხსენებულის კითხვის განსჯის შემდეგ უწ. სინოდი საჭიროდ სცნობს განმარტოს, რომ ა, ზრუნვა სასაფლაოების კეთილ-მოწიწებითის სახით დაცვის შესახებ ბუნებითი გამოთქმაა იმ, არა თუ მარტო შესაფერის, არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის სავალდებულო სარწმუნოებით აღსრულებულთა წინაპართა და საზოგადოდ მოყვასთა მტვრისადმი პატივისცემის გრძნობისა, რომელიც წარმომდინარებს ნათესაურის და ყოვლისა გარეშემცველს საურთიერთო სიყვარულზედ დამყარებულის მათის სახსოვრის პატივისცემის მოვალეობისაგან და ამასთანავე დაფუძნებულია უკვდავების და მომავალის მკვდრეთით საზოგადო აღდგომის და ცოცხლების მკვდრებთან კავშირის შეუწყვეტლობის უტყუარის ჭეშმარიტის რწმენაზედ; ბ, ასეთი პატივისცემა გარდაცვალებულთა მტვრისადმი გამტკიცებულ არს მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთათვის საღმრთო ჩვეულებით, რომელსაც იცავს წმინდად ეკკლესია თავისის არსებობის ბევრის საუკ. განმავლობაში, ძველის დროითგან დღეინდელადდმდე; ამასვე ასწავებს მათ ძველის და ახალი აღთქმის საღმრთო წიგნებში მოთხრობილი კეთილ-მსახურთა გვამთა მაგალითები: აბრაამისა, რომელმაც ქეტტეველის ეფრონისაგან მოისყიდა ოთხას დიდრაქმ ვერცხლად გამოქვაბული ადგილი სარრას დასასაფლავებლად, სადაც შემდეგში დასაფლავებულ იქმნენ თვით იგი და შემდეგ მამათმთავრები; და სხ. მრავ... ამის გამო და აგრეთვე უკეთუ სახეში მიღებულ იქნება სახეში ისიც, რომ უმართ. სენატის სამოქალაქო საკასსაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების ძალით, სასაფლაოები სასულ. მთავრობის უწყების ქვეშ იმყოფებიან, და ამისთვის ეს მთავრობა ვალდებულია ზრუნავდეს მათის კეთილ-წესიერად დაცვისა და შენახვის შესახებ, უწ. სინოდი განაჩინებს: მიენდოსთ სინოდალურს კანტორებს, საეპარქიო მღვდელთ-მთავრებს, მათთა უდიდებ. მოძღვარს და უფროს მღვდელს სამხედრო და საზღვო სას. წოდებისას მისწერონ მათ უწყებას ქვეშ მყოფს სასულ. წოდებას: ა, ერთგულად თვალყური ადევნონ მათს პირდაპირს უწყებას ქვეშ მყოფის სასაფლაოების კეთილ-წესიერად, სუფთად და საკადრისად დაცვა-შენახვას, როგორც შეჰფერის სარწმუნოებით აღსრულებულთადმი ცოცხალთა მიერ პატივისცემის ქრისტიანობრივს გრძნობას; და იხმაროს ამ მიზნის მისაღწევად ყოველი ზომები; ბ, ამისთვის იზრუნოს, რათა ის სასაფლაოები, რომელნიც რომელთამე მიზეზთა გამო და რომელისამე მხრით ცუდს მდგომარეობაში არიან, დაუყოვნებლად გასუფთავებულ და წეს-რიგში მოყვანილ იქმნენ, ე. ი.: დანგრეული საფლავები შესწორებულ, ძველი გალავნები გაახლებულ და, სადაც საჭირო იქნება, ახალი გალავნები, ან ღობეები და ტრუშულები გაკეთებულ იქმნენ; უნდა იქმნეს გამაგრებული მიწა მოყრილი ადგილები. უნდა დარგულ იქმნეს, ადგილობითი პირობების მიხედვით, რაც შეიძლება ბევრი ხეები, რომელნიც ერთის მხრით სასაფლაოებს გარეგანს სიმშვენიერეს აძლევენ, და მეორეს მხრით, როგორც საექიმო მეცნიერება ამტკიცებს, სასაფლაოებზედ ჰაერს აშორებენ მავნე და მომწამლავს ნაწილებსა. და, გ, ხარჯი ამ სამუშაოთათვის უნდა გასწიონ კერძო პირებმა და საქალაქო და სასოფლო საზოგადოებათა, რომელთ ნათესავები და მეზობლები განისვენებენ სასაფლაოებზედ, დ ამ საქმისთვის უნდა მოწვეულ იქმნენ ისინი მოძღვრულის რჩევა-დარიგებით; ყოველთვის უნდა ჩაგონონ მათ, რომ მათი ზნეობრივი მოვალეობაა იზრუნონ მათთს მონათესავე და მახლობელ პირთა საფლავების შესახებ, და სადაც შესაძლო იქნება—ამ საქმეს შეიძლება მოხმარდეს საეკკლესიო ან სასაფლავო შემოსავალთა ნაწილიც.